www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2022 წელი

IV კვარტალი

06.03.2023
www.geostat.ge

06.03.2023

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2022 წლის IV კვარტალი)

2022 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 18.1 პროცენტით გაიზარდა და 51.7 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2022 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 19.8 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 22.1 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



06.03.2023

2022 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 62.0 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 15.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 22.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 43.7 პროცენტი, საშუალოზე - 23.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 32.5 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2022 წლის IV კვარტალი



2022 წლის IV კვარტალში საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 30.4 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.8 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 18.4 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.0 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2022 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 741.0 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.9 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.1 პროცენტი ქალია, ხოლო 56.9 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 41.7 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.8 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 36.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 699.5 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.3 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 4 086.8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25.5 პროცენტით მეტი).

2022 წლის IV კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1 911.1 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 313.2 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 487.0 ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 244.4 ლარით).

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 2 007.2 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 2 165.3 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 602.1 ლარი.

06.03.2023

2022 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.9 პროცენტი მოდის ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე, მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 30.2 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 8.0 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 6.7 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.9 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 2.8 პროცენტიანი წილით, ხოლო 8.7 პროცენტი დანარჩენ დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2022 წელი IV კვარტალი



06.03.2023

2022 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (20.5 პროცენტი) და მშენებლობა (20.3 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (19.9 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.2 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 30.1 პროცენტიანი წილი უჭირავს.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2022 წელი IV კვარტალი



06.03.2023

2022 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ შესაბამისად, 27.8, 12.6 და 9.9 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის აგრეთვე მშენებლობის (8.5 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.0 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაციის (5.7 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.0 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2022 წლის IV კვარტალი



06.03.2023

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



06.03.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება - 2022 წლის IV კვარტალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის IV კვარტალი	2022 წლის IV კვარტალი	2022 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**43 776.7**	**51 710.8**	**118.1**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	192.5	246.6	128.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	319.0	336.9	105.6
დამამუშავებელი მრეწველობა	4 355.1	4 116.7	94.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 487.6	1 422.2	95.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	94.6	99.7	105.4
მშენებლობა	2 570.8	3 474.5	135.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	15 826.3	20 111.0	127.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	2 011.9	2 514.0	125.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	470.3	618.4	131.5
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	189.5	218.2	115.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	280.8	400.2	142.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	672.4	1 225.5	182.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	413.3	504.9	122.2
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	445.6	509.6	114.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	238.0	334.8	140.7
განათლება	136.8	157.9	115.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	385.0	387.4	100.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	14 118.6	15 594.7	110.5
სხვა სახის მომსახურება	38.9	55.9	143.9

06.03.2023

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებას 2022 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის IV კვარტალი	2022 წლის IV კვარტალი	2022 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**16 236.6**	**19 821.9**	**122.1**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	209.8	224.6	107.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	317.8	330.6	104.0
დამამუშავებელი მრეწველობა	3 968.9	4 068.2	102.5
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	746.7	717.7	96.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	105.0	109.4	104.2
მშენებლობა	2 806.4	4 014.9	143.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	3 059.2	3 951.7	129.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 450.9	1 820.9	125.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	471.9	624.6	132.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	191.3	224.6	117.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	280.5	400.0	142.6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	632.9	1 189.0	187.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	412.1	496.7	120.5
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	384.4	445.3	115.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	187.0	248.4	132.8
განათლება	144.5	165.3	114.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	718.8	598.7	83.3
ხელოვნება გართობა და დასვენება	582.7	762.7	130.9
სხვა სახის მომსახურება	37.5	53.3	142.2

06.03.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2022 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2021 წლის IV კვარტალი	2022 წლის IV კვარტალი	2022 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**693 389**	**740 955**	**106.9**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 790	12 065	102.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12 015	12 506	104.1
დამამუშავებელი მრეწველობა	87 225	93 382	107.1
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 440	15 205	98.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 583	14 948	102.5
მშენებლობა	64 113	63 217	98.6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	187 007	205 649	110.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	55 336	59 584	107.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	34 159	36 997	108.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	14 179	14 300	100.9
საკვებით და სასმელებით მომსახურება	19 980	22 696	113.6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	31 203	42 023	134.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 967	19 862	104.7
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	23 827	24 031	100.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	20 070	20 956	104.4
განათლება	24 267	24 435	100.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	73 305	73 416	100.2
ხელოვნება გართობა და დასვენება	12 626	14 810	117.3
სხვა სახის მომსახურება	7 456.2	7 869	105.5

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 79.6 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 5.2 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი
- იმერეთი – 3.2 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 1.9 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს ასევე ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 66.0 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 7.3 პროცენტი
- იმერეთი – 6.0 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.0 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 65.2 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.0 პროცენტი
- იმერეთი – 7.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.8 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.4 პროცენტი
- კახეთი - 2.8 პროცენტი
- შიდა ქართლი - 2.3 პროცენტი
- მცხეთა-მთიანეთი - 1.6 პროცენტი
- სამცხე-ჯავახეთი - 1.5 პროცენტი
- გურია - 0.9 პროცენტი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0.3

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge